ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

“დინამო" (დონის როსტოვი) - "დინამო" (თბილისი) - 1:1 (1:0)
12 ივნისი. დონის როსტოვი. სტალინის სახ. სტადიონი. 15000 მაყურებელი.
მსაჯი ვ. მორგუნოვი (მოსკოვი).
გოლები: 1-0 ბეხტენევი (20), 1-1 პაიჭაძე (51).

“დინამო" (დონის როსტოვი): აივაზოვი, გლაზკოვი, ტრეინისი, კუზნეცოვი, ვოდოპიანოვი, გრიგორიევი, დომბაზოვი, რუდოვი, ბეხტენევი, მაკაროვი, ბიბკო.

"დინამო": დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, მინაევი, გავაშელი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (როსტოვი)

(როსტოვი, დეპეშით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გუშინ, 12 ივნისს, როსტოვის სტადიონზე ჩატარდა სსრკ პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და როსტოვის “დინამოს” ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდები.

საფეხბურთო მოედანზე თბილისის “დინამო” გამოდის თავის ძირითადი შემადგენლობით გაგუას გამოკლებით (მას სცვლიდა მინაევი). მიუხედავად არახელსაყრელი პოზიციისა, თამაშის პირველი წუთები თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობს. მათ შესძლეს რამდენიმე კრიტიკული მომენტის შექმნა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

მე-5 წუთზე ფროლოვმა ძლიერი გარტყმით გაგზავნა ბურთი კარის მარჯვენა კუთხისაკენ, მაგრამ ის კარის ზედა ბოძს გადასცილდა და აუტში გაიჭრა. მე-11 წუთზე ბერეჟნოიმ ნახევარი მეტრიდან ვერ გაიტანა “მკვდარი” ბურთი.

მე-18 წუთზე როსტოველი გრიგორიევი შორიდან გზავნის ბურთს თბილისის კარში. დოროხოვმა მოხდენილად მოიგერია ის, მაგრამ კართან შექმნილ არევ-დარევით ისარგებლეს როსტოველებმა და შესძლეს ანგარიშის გახსნა – 1:0 როსტოველთა სასარგებლოდ.

მთელი ტაიმის განმავლობაში როსტოველები სასტიკად უხეშობენ. ისინი ხელებით იჭერენ პაიჭაძეს, მაგრამ მსაჯი მორგუნოვი (მოსკოვი) “ვერ ამჩნევს” მას. მან “ვერ შეამჩნია” აგრეთვე როსტოვის დაცვის ხელით თამაშიც – უდაო “პენალტი”. პირველი ტაიმი დამთავრდა – 1:0 როსტოველთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმიც თბილისელთა ენერგიული შეტევით მიმდინარეობს. მე-6 წუთზე პაიჭაძემ, რომელიც ამ დღეს კარგად თამაშობდა, მარჯვენა მხრიდან გაარღვია ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზი და ძლიერი შუტით გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

თბილისელები აძლიერებენ ტემპს. მე-31 წუთზე პაიჭაძემ კვლავ გაარღვია მცველთა ხაზი და შეიჭრა როსტოველთა კარის მოედანზე. მსაჯ მორგუნოვის უყურადღებობით გათამამებული როსტოვის “დინამოს” დამცველები სარმას უკეთებენ პაიჭაძეს – აშკარა “პენალტია”, მაგრამ მორგუნოვი კვლავ “ვერ ამჩნევს”. მე-36 წუთზე როსტოველთა უხეშობის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ფროლოვი. მორგუნოვს ესეც “გამორჩა” მხედველობიდან.

უხეშობით აღსავსე მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

“მუშა”, 13 ივნისი, 1938 წ.